# ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

16 მარტი
ხუთშაბათი
2023 წელი
№12 (9274)
ფასი 40 თეთრი




## მინდა, ვუთხრა ევროპარლამენტარებს, კორუმპირებულ ბიუროკრატებს, რომლებიც ჭკუას ასწავლიან ქართველ ხალხს, აღარ სჭირდება მათ დიქტატორები, სააკაშვილი, არამედ ჭირდება კეთილდღეობა

**...მინდა, გამოვეხმაურო,** ევროპარლამენტის სამარცხვინო რეზოლუციას, რითიც რეალურად ამ ადამიანებმა ქართველ ხალხს და ჩვენ გვითხრეს, რომ სააკაშვილი არის მათი აგენტი, მათი მსახური იყო. მათ უბრალოდ არ აინტერესებთ ქართველი ხალხის აზრი, არ აინტერესებთ, რომ სააკაშვილი ჩაგრავდა, კლავდა, აწიოკებდა ხალხს, ბიზნესს ატერორებდა, იყო სრულიად დახშული მედიათავისუფლება.

იმ ყველაფრის მიუხედავად, რაც ამ კაცმა და მისმა ბოროტმა რეჟიმმა ჩაიდინა, როგორიცაა გირგვლიანის მკვლელობა, ვალერი გელაშვილის ცემის ფაქტი, არ აინტერესებთ რეალობა, არ აინტერესებთ, რომ „იმედი", რომელიც დაარბიეს, ძალადობრივად მიისაკუთრეს. არც ის აინტერესებთ, რომ სააკაშვილი ჩამობრძანდა უკანონო გზით და აპირებდა რევოლუციის მოწყობას, უნდოდა სისხლიანი დარბევები და ადამიანების დახოცვა. ეს ყველაფერი არ აინტერესებთ, მათ გვითხრეს, რომ ამ ყველაფრის მიუხედავად, ჩვენ თქვენი აზრი არ გვაინტერესებს, არც თქვენი სუვერენიტეტი, დამოუკიდებლობა და აზრი არ გვაინტერესებს, ეს კაცი იყო ჩვენი მსახური, აგენტი და უნდა გამოუშვათ ციხიდან.

მინდა, ყველას გითხრათ, რომ დასრულდა ქვეყანაში ის დრო, როცა პოლიტიკოსები და ხელისუფლება ემსახურებოდნენ უცხო ქვეყნის ინტერესებს, ჩვენ ვემსახურებით საქართველოს ინტერესებს და ნუ შეეცდებიან ჩვენი ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევას.

ეს მინდა, ვუთხრა იმ პარლამენტარებს და ზოგიერთ კორუმპირებულ ბიუროკრატებს, რომლებიც ჭკუას არიგებენ ქართველ ხალხს. ქართველმა ხალხმა კარგად იცის, რა სჭირდება, ქართველ ხალხს აღარ სჭირდება მოძალადე დიქტატორები, სააკაშვილი და მისი დანაშაულებრივი სისტემა. ქართველ ხალხს სჭირდება განვითარება და კეთილდღეობა.

## რეაბილიტაციის სამუშაოები ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს



**ახალი** უბნის დასახლებაში დაზიანებული მდინარე მტკვრის დამცავი საყრდენი კედლის სარეაბილიტაციო სამუშაოები ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს.

დაზიანებული საყრდენი კედლის რეაბილიტაციისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 3 900 000 ლარია გამოყოფილი.

სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობას ადგილზე გაეცნო ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი **ოთარ არბოლიშვილი** და მერის მოადგილე **გიორგი ტაბატაძე.**

სამუშაოებს „საქართველოს სამშენებლო კომპანია" ასრულებს.

შეგახსენებთ, რომ გასულ წელს, ბორჯომში მოსული უხვი ნალექის გამო, ახალი უბნის ქალაქის ცენტრთან დამაკავშირებელ გზაზე, მდინარე მტკვრის ადიდებამ არსებული ნაპირსამაგრი კედლის დაზიანება გამოიწვია.

## იწყება წყალმომარაგების ოპტიმიზაციის სამუშაოები




**რეგიონული** განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია ქალაქ ბორჯომში წყალმომარაგების სისტემის ოპტიმიზაციისთვის საპროექტო-სამშენებლო სამუშაოებს იწყებს.

შესაბამის ხელშეკრულებას ხელი წყალმომარაგების კომპანიის დირექტორის მოადგილემ, **ნინო ნაროზაშვილმა** და ტენდერში გამარჯვებული კონტრაქტორი კომპანიის - ერთობლივი ამხანაგობის „ინვესტ გრუპის" თავმჯდომარემ - **გიორგი წკრიალაშვილმა** მოაწერეს.

სამუშაოების ფარგლებში გათვალისწინებულია: სათავე-ნაგებობების, რეზერვუარების, სატუმბი სადგურისა და მაგისტრალური მილების რეაბილიტაცია.

პროექტს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 30 მილიონ ლარზე მეტი მოხმარდება. სამუშაოების დასრულება 2025 წლის შემოდგომის სეზონზე იგეგმება.

პროექტის დასრულების შემდეგ ქ. ბორჯომისა და სოფელ სადგერის ადგილობრივი მოსახლეობა წყალმომარაგების განახლებული ინფრასტრუქტურით ისარგებლებს.

## სარვამარტო მილოცვები დილიდან დაიწყო



**8 მარტის მილოცვა,** ბორჯომელი ქალბატონებისთვის, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ **გიორგი ტაბატაძემ** და კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განყოფილების ხელმძღვანელმა **შალვა გოგოლაძემ** დილიდან დაიწყეს.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები მეეზოვე და მებაღე ქალბატონებს სამუშაოს შესრულების დროს ესტუმრნენ, ქალთა საერთაშორისო დღე პირადად მიულოცეს და სადღესასწაულო თაიგულები მიართვეს.

ასევე თვითმმართველობის წარმომადგენლებმა სარვამარტო თაიგულები გადასცეს მუნიციპალური ტრანსპორტის მგზავრ და ფეხით მოსიარულე ქალბატონებს.

## ხანდაზმული ქალბატონების დაჯილდოება



**ქალთა** დღესასწაულების ფარგლებში, 8 მარტს სსიპ - „ბაკურიანის განვითარების სააგენტოს" თავმჯდომარემ **ეკატერინე ორჯონიკიძემ** ბაკურიანში მცხოვრები ხანდაზმული ქალბატონები მოინახულა, დღესასწაული მიულოცა, მადლიერების სიგელები და სასაჩუქრე ვაუჩერები გადასცა.

- ქალბატონები რომლებმაც ბაკურიანს მომავალი თაობები გაუზარდეს, დამსახურებული პედაგოგები, სპორტსმენები და სხვადასხვა სფეროს წარმატებული მუშაკები არიან, ცხოვრება სიყვარულში გაატარეს, ეს ადამიანები იმსახურებენ ჩვენი მხრიდან დაფასებას, ზრუნვას და ყურადღებას, აღნიშნა ეკატერინე ორჯონიკიძემ.

მადლიერების სიგელები და სასაჩუქრე ვაუჩერები გადაეცათ:

**თებრონია ბერიძეს** - დაბა ბაკურიანში 50 წლის განმავლობაში ემსახურებოდა მომავალი თაობების აღზრდას.

**ციალა ტაბატაძეს** - სათხილამურო სპორტის განვითარებისა და პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილისთვის.

**ევგენია შიოშვილს** - რუსული ენისა და ლიტერატურის დამსახურებულ პედაგოგს.

**ნინო ჯაოშვილს** - გერმანული ენისა და ლიტერატურის დამსახურებულ პედაგოგს.

**ნელი ომიაძეს** - სათხილამურო სპორტის განვითარებისა და პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილისთვის.

**მერი ქურდოღლიანს** - სათხილამურო სპორტის განვითარებისა და პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილისთვის.

სსიპ ,,ბაკურიანის განვითარების სააგენტო" ყველა ქალბატონს ულოცავს ქალთა დღესასწაულებს.

## ამოქმედდა საბარათე გადახდის სისტემა

**მარტიდან** ბორჯომში საზოგადოებრივ ტრანსპორტში საბარათე გადახდის სისტემა ამოქმედდა. შესაბამისი განცხადება უკვე ყველა ავტობუსშია განთავსებული.

მგზავრობის ღირებულების გადახდა თიბისი ბანკის და სამგზავრო ბარათით იქნება შესაძლებელი.

მგზავრებს შეუძლიათ სამგზავრო აბონემენტები თიბისი ბანკის ბორჯომის ფილიალში შეიძინონ.

გადახდის ახალი წესით მოქალაქეებისთვის მგზავრობის ღირებულება არ ძვირდება.



# მომავალი ეკუთვნით პატრიოტებს!

**– ყველა უნდა შეეგუს მარტივ მოცემულობას და ჭეშმარიტებას, რომ ჩვენი ქვეყნის მომავალი არ და აღარ ეკუთვნით არც უცხო ქვეყნის აგენტებს, არც უცხო ქვეყნის მსახურებს, ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი ქვეყნის მომავალი ეკუთვნით პატრიოტებს, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა ბერლინში ქართველ ჟურნალისტებს განუცხადა.**

როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, მთავარი მიზანი არის ქვეყანაში მშვიდობის, სტაბილურობის შენარჩუნება და სწრაფი განვითარების კეთილდღეობის მოტანა.

**,,რაც შეეხება აჟიოტაჟს, რომელიც არის შექმნილი, ჩვენ მარტივად ვხვდებით, რომ, სამწუხაროდ, დღეს ქართველი ოპოზიცია არის აბსოლიტურად დეგრადირებული, მათი ყოველგვარი სანდოობა არის დაკარგული, ხალხი ამას ხედავს. შემთხვევითი არ არის, რომ მათ მიერ ჩატარებული კვლევების მიხედვით, მათი პარტიების რეიტინგი შეადგენს, მაგალითად, ,,ნაციონალური მოძრაობის" რეიტინგი 7%-დან 10%-მდეა, სხვა დანარჩენი პარტიების 2%-ს ქვევით. მესმის მათი. „ქართული ოცნების" მხარდაჭერა და ჩვენი პოლიტიკის მიმართ მოსახლეობის მხარდაჭერა არის კიდევ უფრო გაზრდილი, 5-60 პროცენტზე არის ასული სანდოობა.**

ჩვენი მთავარი მიზანი არის ქვეყანაში მშვიდობის, სტაბილურობის შენარჩუნება და სწრაფი განვითარების, კეთილდღეობის მოტანა. შემთხვევითი არ არის, რომ ბოლო ორი წელი, სწორი პოლიტიკის შედეგად, ჩვენ მოვიტანეთ სწრაფი განვითარება. მეტი პროექტი დავიწყეთ და თითქმის 10 მილიარდი დოლარით გაიზარდა ქვეყნის ეკონომიკა, ეს უნდა იყოს ჩვენთვის მთავარი.

**ყველა უნდა შეეგუოს მარტივ მოცემულობას და ჭეშმარიტებას – ჩვენი ქვეყნის მომავალი არ ეკუთვნის და აღარ ეკუთვნის არც უცხო ქვეყნის აგენტებს, არც უცხო ქვეყნის მსახურებს, ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი ხალხის მომავალი ეკუთვნის პატრიოტებს.** მე ერთი რამ მინდა, შევახსენო ყველას, მათ შორის დესტრუქციულ რადიკალურ ოპოზიციას, სრული ლუსტრირება მიხდა იმისა, თუ ვის ემსახურებიან ეს ადამიანები, ეს ტრაგედიაა, რომ ასეთი ადამიანები ჯერ კიდევ არიან პოლიტიკაში. ვფიქრობ, ჩვენი ხალხი ყველაფერს კარგად ხედავს, ხალხი ბრძენია. ამ ადამიანებმა, როცა იყვნენ ხელისუფლებაში, ერთხელ უკვე დაანგრიეს ჩვენი ქვეყანა, ჩააბარეს ოკუპანტს ქვეყნის ტერიტორიის 20 პროცენტი, შემოიყვანეს რუსული ჯარი და ააშენებინეს სამხედრო ბაზები. გახსოვთ, ომის შემდეგ როგორ სამარცხვინოდ გადასცეს მთელ რუსულ სახელმწიფო კომპანიებს ჩვენი სტრატეგიული აქტივები. ეს არის მარტივი რეალობა, რაზეც მინდა, ვუთხრა, რომ ყოველგვარი მათი აჟიოტაჟი არის სპეკულაცია, სულ ტყუილად ირჯებიან.

ამ დონეზე დაეშვა ეს ორგანიზაცია, რომ მათი ტელევიზიები პირდაპირ მოუწოდებდნენ საზოგადოებას იარაღის ხელში აღებისკენ, ჩანს, რამდენად სასოწარკვეთილ მდგომარეობაში არიან. ერთი რამ მინდა ვუთხრა ყველას, ჩვენი ხელისუფლება, რა თქმა უნდა, კანონის ფარგლებში, ყველა ადამიანის გამოხატვის თავისუფლებას ვუზრუნველყოფთ, მაგრამ არავის ვაპატიებთ არც ერთ უკანონო ქმედებას, ყველა დამშვიდდეს, მშვიდად უნდა ვმართოთ ეს პროცესი. რთული რეალობაა მთელ მსოფლიოში. უკრაინის ომი არ სრულდება, 20 პროცენტი უკვე არის ოკუპირებული რუსეთის მიერ და 100 ათასობით ადამიანი არის უკვე დაღუპული, 1 ტრილიონი დოლარის ზარალი მიადგა უკრაინას. ამ ფონზე ეს დესტრუქციული ხალხი რომ ყოფილიყო დღეს ხელისუფლებაში, ჩვენ არავის ეჭვი არ გვეპარება, რომ ქვეყანაში იქნებოდა მეორე ფრონტიც და ქვეყანას გადააქცევდნენ პოლიგონად, ამის საშუალებას ჩვენ არავის მივცემთ, ქვეყანაში იქნება მშვიდობა, სტაბილურობა და განვითარება – **განაცხადა ღარიბაშვილმა.**

### ოპოზიციის და პოზიციის საყურადღებოდ!

## ბაზალეთი რომ არ განმეორდეს...

ხომ არ აჯობებს, რომ შევიკრიბოთ,
კვლავ ბაზალეთის ტბასთან,
იქ, გავარჩიოთ მტყუან-მართალი,
სისხლიც დავღვაროთ ძმათა.
როგორც გვჩვევია, ხალხო ქართველებს,
ჩვენს მოდგმასა და ჯიშს,
მოძმისთვის ზურგში ხანჯლის ჩაცემა
და გახარება მტრის. ყველა ქართველს
ხომ პირველ დღიდანვე, პირველ კაცობა უნდა,
ოღონდ ის იყოს მეფე და,.. მერე
ქვეყანა დაიქცეს თუნდაც.
თავისუფლება ღმერთმა გვაჩუქა,
და ნუ დავკარგავთ ისევ,
ციხე გარედან არასდროს ტყდება,
შიგნიდან ტყდება ციხე.
რამ დაგვაყრუა, რამ დაგვამუნჯა,
ან რამ დაგვიფსო თვალი,
ან რატომ გვინდა აქ რომ დავტოვოთ
„შადიმანების" კვალი.
ნუთუ ვერ ხედავთ, როგორ მრავლდება
მახინჯი, უცხო ტომი,
ძმის მკვლელი ომი რაში გვჭირდება,
წინ გველის სულ სხვა ომი.
გაგვინახევრდა ლამის ქვეყანა,
გაგვიცოტავდა ერი,
ვაგინებთ ჯვარს და, ვაგინებთ რწმენას,
ეშმაკს შეეკრა ბერი.
არ გვაპატიებს, ყველას გვახსოვდეს
სამშობლოს ღალატს ღმერთი,
ვერ მოვინელებთ, რომ დაიღვაროს –
ძმის სისხლი თუნდაც წვეთი.
ჰოდა, ჩავაგოთ ქარქაშში ხმლები,
არა – ძმათა მკვლელ ომს!
ბაზალეთი არ განმეორდეს,
ყველა მოვეგოთ გონს;
თორემ მერე კი იქნება გვიან,
თუ დაიღვრება სისხლი,
და ველარასდროს ჩამოვირეცხავთ
ამ დიდ ცოდვას და სირცხვილს.

**ჯემალ ბიბილური.**

### სადღეისო თემაზე

# ახალდაბაში კვლავ ბევრი პრობლემაა

**ახალდაბაში** ბოლო 4-5 წლის განმავლობაში საკმაოდ ბევრი პროექტი განხორციელდა და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა დაბის იერსახე, მოსახლეობის ცხოვრების პირობები და ა.შ.

ნათქვამია, „მადა ჭამაში" მოდისო და ახალდაბელებსაც მოთხოვნები ეზრდებათ.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ დაბას, რომელიც ერთ-ერთი დიდი დასახლებაა ბორჯომის მუნიციპალიტეტში, არ გააჩნია საკანალიზაციო სისტემა, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს დამსვენებელთა შემოსვლას საკურორტო დაბაში, იკარგება შემოსავლები, იქმნება იმის პირობები, რომ დამსვენებელიც და კერძო პირიც აღმოჩნდეს სანიტარიული ნორმების დარღვევის წინაშე, ფეკალიები და ნარეცხი წყალი დაიღვაროს ეზოებში, ქუჩებში და ა.შ.

XXI საუკუნეში ასეთ პირობებში ცხოვრება და დასვენება ისეთ საკურორტო ზონაში, როგორიცაა ბორჯომის ხეობა, დაუშვებელია და ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ მნიშვნელოვანი ხარვეზები, რომლებიც ხელისგულზე დევს აღმოიფხვრას.

დამსვენებელთა ადგილობრივი მოსახლეობის ნორმალური განვითარებისათვის აუცილებელია კეთილმოწყობილი ტყე-პარკი, რომელიც საუკუნეზე მეტია მდებარეობს ყოფილი რკინიგზის სადგურის მიმდებარედ. ასწლოვანი ნაძვები და სხვა ჯიშის ხეები მშვენიერ პირობებს ქმნიან კომფორტული რეკრეაციული ზონის მოსაწყობად. პარკის თავსა და ბოლოში მტკვრის ნაპირებზე აუცილებლად უნდა აშენდეს საყრდენი კედელი მოაჯირით, ამით ადამიანები არა მარტო დაცული იქნებიან ხიფათისაგან, არამედ მშვენიერი სანახაობის მომსწრენიც გახდებიან.

კარგია, რომ დაბის ცენტრალური ქუჩები და ჩიხები მოასფალტდა, მაგრამ რჩება ზოგიერთი ქუჩები (რუსთავის, ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველას). ბოლო მონაცემებით დამთავრებული არაა ქუჩების კეთილმოწყობა.

გასაგებია, რომ ახალდაბის ერთ დროს ულამაზესი რკინიგზის




სადგური რაიონის ხელისუფლების დაქვემდებარებაში არ არის, მაგრამ ხომ შეიძლება ოფიციალური წერილი მივწეროთ შპს „საქართველოს რკინიგზის" ხელმძღვანელობას, ფოტო და ვიდეო მასალის თანდართვით, თავისი ტერიტორია მოაწყოს, სათანადოდ განათდეს. გასაგებია, რომ აღნიშნულ ობიექტს ძველი ფუნქცია აღარ აქვს, მაგრამ სამგზავრო მატარებელი ხომ ჩერდება (ფაქტიურად, ბაქანის ფუნქცია აქვს), ხოლო სადგური პირუტყვის სადგომის ფუნქციას ასრულებს.

უთუოდ აღსანიშნავია, საგზაო უბნის ხელმძღვანელობის გარჯა ხაშური-ბორჯომის ავტომაგისტრალის კეთილმოწყობისა და მგზავრთა მოსაცდელების მშენებლობა და სარემონტო სამუშაოების ჩატარება, მაგრამ მგზავრთა მოსაცდელები მხოლოდ ცალ მხარეს შენდება, დღითიდღე მგზავრთა ნაკადი იზრდება, ამიტომ მიზანშეწონილია მოსაცდელი მეორე მხარესაც მოეწყოს. წვიმიანი ამინდის პირობებში, ერთ მხარეს აშენებული მოსაცდელიდან, სადაც თავი აქვს შეფარებული, გაზრდილი ტრანსპორტის მოძრაობის პირობებში, ავტობუსის დანახვა და მისი გაჩერება (ავტობუსის მძღოლი კი არ არის ვალდებული აქეთ იქით იყუროს, მან ავტობუსი უნდა გააჩეროს მხოლოდ მგზავრთა მოსაცდელთან).

ერთი სიტყვით, უხერხულობაა მგზავრთა კულტურული მომსახურების საქმეში, რაც ეტაპობრივად უნდა გამოსწორდეს.

ხელისუფლების წინაშე განმეორებით უნდა დაისვას საკითხი ბორჯომიდან ახალდაბაში და პირიქით, როგორც ეს სხვა დაბა-სოფლებშია, იმოძრაოს საზოგადოებრივმა ტრანსპორტმა და არა კერძო მიკროავტობუსებმა. ამ საკითხზე არაერთხელ დაიწერა გაზეთ „ბორჯომში", მაგრამ პრობლემა კვლავ გადასაწყვეტია.

წლების წინ ახალდაბაში დაწყებული სასმელი წყლის სათავე-ნაგებობის მშენებლობის დამთავრებას საშველი არ დაადგა, ფაქტიურად, მოსახლეობა წყალს სასმელად ვერ იყენებს, რადგან ხშირად ამღვრეულია და ძირითადად სარწყავად იყენებენ.

აღარაფერს ვამბობ დაბის კულტ-საყოფაცხოვრებო სფეროში არსებულ ხარვეზებზე, არის სხვადასხვა სფეროებში მტკივნეული საკითხები, რომელთა გადაწვეტა ყოველდღიური ზრუნვის საგნად უნდა იქცეს.

მესმის ყველა პრობლემის გადაწყვეტა უცბად ვერავინ შეძლებს, ერთბაშად ვერ და არ გვარდება, მაგრამ თუ გულთან მივიტანთ მოსახლეობის მოთხოვნებს, ეტაპობრივად ყველაფრის გაკეთება შეიძლება.

**თემურ ხუხუნაიშვილი,**
**საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.**

# სასკოლო კვება მნიშვნელოვანია!

**ბოლო** დროს აქტუალური გახდა საზოგადოებაში სასკოლო კვების საკითხი, რადგან მომრავლდა საქართველოში შიმშილით გულწასული ბავშვები. ეს არაა ზღაპარი, ეს რეალობაა, რომელშიც ყოველდღიურად ვცხოვრობთ! ორსამ საათამდე მოსწავლეები სკოლაში ანიან. ხშირად, დილით არ საუზმობენ და ბუნებრივია, საბაზისო მოთხოვნილება – კვება უნდა დაიკმაყოფილონ. ბოლო, ორწლიანმა კვლევებმა აჩვენეს, რომ გაცილებით დაბალი შედეგებია სწავლის დონის კუთხით იქ, სადაც მშიერი ბავშვი ზის. პედაგოგიკის ფსიქოლოგიის თანახმად, მნიშვნელოვანია დანაყრებული მოსწავლე, რომელმაც უამრავი ინფორმაცია უნდა აღიქვას და დაიმახსოვროს გაკვეთილზე. ყოფილა შემთხვევები, როცა პედაგოგს უმხელენ ბავშვები შიმშილს და რისი საშუალებაც ჰქონდა მასწავლებელს (შოკოლადი), მიუწოდებია, მაგრამ სოციალური ფონი იმდენად მძიმეა, რომ სახლიდან სარჩოსთვის წასული მშობლები სკოლიდან მისულ ბავშვს სახლში ვერ ხვდებიან, შესაბამისად სადილიც შეიძლება არ იყოს. მკითხველმა შეიძლება ისიც იფიქროს, რომ ასეთი სურათი უტრირებულია. არადა, რამდენჯერ მსმენია მეხუთე გაკვეთილის შემდეგ მოსწავლეების ფრაზები: „როგორ მშია, გაქვს რამე ხურდები?", „ისე მშიოდა, გაკვეთილის არაფერი გამიგია". არის გახშირებული სხვა შემთხვევაც: როცა მშობელი ატანს სკოლაში საარსებო თანხას, მაგრამ მოსწავლე არჩევს იყიდოს არაჯანსაღი, ორგანიზმისთვის მავნე თავშესაქცევი. ამიტომ, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სკოლის სივრცეში მაინც ჰქონდეთ ხელშემწყობი სასწავლო გარემო.

საქართველოს პარლამენტისა და სამი სამინისტროს ჩართულობით, გაეროს ბავშვთა ფონდის მონაწილეობით გაიმართა სასკოლო კვების შესაძლო მოდელზე მსჯელობა, სადაც ძირითადი პრინციპები თანასწორობა და ინკლუზიურობა განიხილეს. განვითარებულ ქვეყნებში ბავშვებისთვის უფასო კვება ჩვეულებრივი პრაქტიკაა. პანდემიიდან გამომდინარე, გამკაცრდა შეზღუდვებიც, გაჩნდა კონკრეტული სტანდარტებიც: სასკოლო კვების ორგანიზებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ბავშვთა კვების თავისებურებასთან დაკავშირებული შემდეგი შეზღუდვები: არ დაიშვება ძირითად საკვებად კონსერვების გამოყენება (კონსერვირებული სუპი, კონსერვირებული ხორციანი კერძები). არ დაიშვება: სოკო, კრემიანი ნამცხვრები და ტორტები. საკვების მომზადებისას უპ-





ირატესობა ენიჭება მცენარეული ზეთების გამოყენებას; დესერტად არ უნდა გაიცეს სალეჭი რეზინი, კანფეტი ან შოკოლადი. წინა დღეს მომზადებული საკვები ბავშვზე არ გაიყიდება, მკაცრადაა დასაცავი ჰიგიენაც. ჩვენი გაზეთის რედაქცია ამ თემით დაინტერესდა და ბორჯომის სკოლებში არსებულ სინამდვილეს გაეცნო. №1 და №3 საჯარო სკოლებში უახლოეს დღეებში გაიხსნება კვების ბლოკი, იგივე „ბუფეტი", სადაც ხელმისაწვდომი ფასებით ექნებათ საშუალება ბავშვებს ხემსი მიირთვან. აღნიშნული სკოლების დირექტორებისგან მოვისმინეთ კომპეტენტური კომენტარები სასიამოვნო სიახლესთან დაკავშირებით:

**ხათუნა ხარაზიშვილი, №3 საჯარო სკოლის დირექტორი:** – სასკოლო საზოგადოების მაღალი მოლოდინიდან გამომდინარე, რამდენიმე დღეში გაიხსნება სკოლაში ბუფეტი. განათლების სამინისტრო აუცილებელ პირობად ითხოვს სტანდარტის დაცვას. ასევე, სურსათის უვნებლობა მუდმივ მონიტორინგს ახორციელებს და თუ დარღვევები აღმოაჩინეს, საკმაოდ დიდი ჯარიმებია. ყველაფერი იქვე დამზადდება, მეორე დღის პროდუქტი გამორიცხულია გაიყიდოს. მეც, როგორც დირექტორი ძალიან დიდ ყურადღებას ვაქცევ ამ მიმართულებით და ვითხოვ ყოველთვის ინდმეწარმეს გააკეთოს პროდუქტის ანალიზი. ყოველთვის, როცა ჩვენს სკოლაში ბეფეტი ფუნქციონირებდა და სურსათის უვნებლობა მონიტორინგზე მოდიოდა, აღნიშნავდნენ, რომ მსგავსი მოწესრიგებული გარემო და ჰიგიენური ნორმების დაცვა იშვიათი იყო. ანალიგიურად გაგრძელდება მომავალშიც!

**ჯული ჯინჯოლავა, №1 საჯარო სკოლის დირექტორი:** – აუქციონი უკვე გამოცხადებულია და უახლოეს დღეებში გაიხსნება. ხაჭაპური, ლობიანი, პიცა, კარტოფილის ღვეზელი დამზადდება, აკრძალული არაფერი არ გაიყიდება. დიდი სიხარულით ელოდებიან ბავშვები. სუფთა გარემო და რეგულაციების დაცვა აუცილებელი მოთხოვნაა.

**მონიკა ჭანტურია**

# უკიდეგანო სიყვარულის ძალა

**ორი მეგობარი თბილისიდან, ორი დღით, დასასვენებლად ჩამოვიდა ბორჯომში...**

ისტორიულ პარკში სეირნობისას, ასევე მოსეირნე ორ გოგონას შემთხვევით, პირისპირ შეხვდნენ...

ერთ-ერთმა ვაჟმა უნებურად, გაუაზრებლად, თავისდაუნებურად ხელსახოცი ითხოვა...

- მოწონებულისაგან ხელსახოცი მიიღო... მადლობა გადაუხადა...

წამით შეჩერდნენ - ზრდილობისთვის ერთმანეთს გაუღიმეს...

სხვა დახმარება ხომ არ გჭირდებათო - იკითხეს გოგონებმა...

შეხვედრა ხუთწუთიან გაცნობად გადაიქცა, მობილურის ნომრები გაცვალეს და დაემშვიდობნენ ერთმანეთს...

სამი თვე გაგრძელდა შემთხვევით გაცნობილ ახალგაზრდებს შორის მობილურზე მიწერ-მოწერა...

სამი თვის შემდეგ, ვაჟი ხელმეორედ ჩავიდა ბორჯომში, უკვე გამიზნულად, გააზრებულად - მონატრების სურვილით...

მიშო და თაკო, მიხეილი და თამარი - ხვდებიან ერთმანეთს...

მიშო აღიარებს, რომ თაკო - პირველ დანახვისთანავე შეუყვარდა კიდეც...

თაკომ გულწრფელად უთხრა: „მეგობრობისთვის მზად ვარ, სიყვარულისთვის კი არა. გთხოვ, არ შემიყვარო, ჯანმრთელი არ ვარ, ჩემთან მომავალი არ გექნება, ბედნიერი ვერ იქნები, თავს ნუ დაიღუპავო" - უთხრა და დაემშვიდობა...

გაოცებული და გაოგნებული მიშო უკან დაედევნა - ეხვეწა, ემუდარა - გულწრფელად მოეყოლა, რას ნიშნავდა მისი ნათქვამი...

ხვეწნა-მუდარამ გაჭრა და თაკომ ალალად, გულწრფელად, ყოველგვარი შელამაზების გარეშე დაიწყო მოყოლა:...

თაკო - თამარ გოგალაძე 6-7 წლის იქნებოდა „ბატონები" - ე.წ. „ყივანახველა" რომ ესტუმრა... თაკომ და ოჯახმა „ყივანახველა" გაისტუმრა, მაგრამ მან საშინელი „აღმავალი ინფექცია" დაუტოვა, როგორც სპეციალისტები აღნიშნავდნენ, „ის ნელ-ნელა ჭამდა თირკმელებს".

წლები გადიოდა, მკურნალობა გრძელდებოდა, მშობლები და ქვეყნის საუკეთესო უროლოგები თავს არ ზოგავდნენ, მაგრამ საშველი არსაიდან ჩანდა...

ათი წლის შემდეგ - 16 წლის ასაკში, თამარის ორივე თირკმელი მკურნალობას აღარ დაექვემდებარა და გაითიშა.

მოზარდი - „დიალეზზე" გადაიყვანეს... მისი სიცოცხლისათვის „დონორი" იყო საჭირო... „დონორობა" საკუთარმა მამამ იტვირთა. თაკოს მე-4 ჯგუფის სისხლს - მამიკოს - გელა გოგალაძის მეორე ჯგუფის სისხლი მიუდგა და ოპერაცია რვა საათს გაგრძელდა.

46 წლის მამიკოს, ამოაცალეს ცალი თირკმელი და 16 წლის თამარს გადაუნერგეს, თავისი ორივე თირკმელი კი ადგილზევე დაუტოვეს, რომლებიც ნელ-ნელა მიილიენ და ამჟამად მხოლოდ კვერცხის ოდენებია...

თამარმა ოპერაცია მძიმედ გადაიტანა, გასახსენებლადაც კი საშინელებაა...

დიდი ხანი არაა, რაც გაირკვა, თუ 9-10 წლის ასაკში ერთ თირკმელს ამოუღებდნენ, მეორე გადარჩებოდა, უბედურებას თავიდან აიცილებდნენ...

- რა და რომელ სიყვარულზეა ლაპარაკი, რამდენ წელს გამიძლებს მამიკოს თირკმელი, არავინ იცის, ამიტომ ჩემი გულისთვის, თავს ნუ დაიღუპავ, უფალმა ბედნიერი გამყოფოს-ო - დაამთავრა გულის გადაშლა ახლად-ნაოპერაციებმა თაკომ და გულდამძიმებული შინისაკენ გაუდგა გზას...

...გაოგნებული, დაშოკილი მიშო, ადგილზევე გაქვავდა... დიდი ხნის შემდეგ, ძლივს წამოდგა, ძლივს აზრზე მოვიდა და თბილისისაკენ გაემგზავრა...

რამდენიმე დღეში ისევ ბორჯომში ჩამოვიდა, წინააღმდეგობის მიუხედავად - ამჟამად სახლში თაკოსთან, მშობლებს გაეცნო, თუმცაღა კატეგორიული უარით გამოისტუმრეს - „დამატებითი თავსატეხი, ნერვიულობა და გულისტკენა აღარ გვჭირდებაო"...

მიშო თავისას არ იშლიდა - „კიდევ მეტი სიძლიერით შემიყვარდაო" - უმტკიცებდა გაბრაზებულ და ჯიუტად მყოფ თაკოს ოჯახს...

და ისინიც, იძულებულნი გახდნენ მოეთხოვათ - მისმა ოჯახმა იცოდა თუ არა ყოველივე ეს - პასუხმაც არ დააყოვნა - „ჩემმა ოჯახმა და ახლობლებმა ყველაფერი იციან ჩემს შესახებ, ყველანი თანახმანი არიან.

მიშოს დედა არ ჰყავდა, 16 წლისას გარდაეცვალა - 39 წლისას ტრომბი დაემართა და უეცრად წავიდა ამქვეყნიდან. ობლად დარჩენილი ორი ძმა მამამ ღირსეულ ვაჟკაცებად დაზარდა, უფროსი დაოჯახებულიცაა...

თაკოს მშობლები საგონებელში ჩავარდნენ - მათვე ოჯახშივე - ქალბატონი ნონა ეხვეწა და ემუდარა მიშოს, მის ძმას, მამამისს - ბატონ უშანგი კეიხაშვილს - „დიდ პასუხისმგებლობას იღებთ თქვენს თავზე, დაფიქრდით, ნუ გაგვაბოროტებთ, თქვენს თავსაც ნუ გაიბოროტებთ, მომავალს ნუ დაინგრევთ, დრო თქვენზე იმუშავებს და დარწმუნდებით, რომ შეცდომას უშვებთო...

...ხუთი წელი იყვნენ შეყვარებულები...

...ყოველ-საათობრივი მიწერ-მოწერა, მიშოს ბორჯომში ხშირი ჩამოსვლა, თაკოს თბილისში კოლეჯში - მასაჟისტობაზე სწავლაში გადიოდა დღეები, კვირეები, თვეები, წლები... მხოლოდ ერთხელ იკამათეს..

ისევ მიშომ ვერ გაძლო, ისევ



მან ივაჟკაცა და მეტი სიძლიერით აღადგინა დროში გამობრძმედილი სიყვარული... ფრთებიც შეასხა და 2015 წელს დაქორწინდნენ...

...გადიოდა დღეები, კვირეები, თვეები თბილისში, ბორჯომში, წამლებთან, მკურნალობასთან, ექიმებთან, ყოველწამიერ მკურნალ დედიკოს მეთვალყურეობის ქვეშ...

თამარის დედიკო - ნონა ჩადუნელი, სურამიდან დგვარში მობრძანებული პატარძალი - ოჯახის დედაბოძი, საძირკველი, მუხლჩაუხრელი ფიზიკური შრომით, გარჯით, ათასმაგი ენერგიით... პროფესიით მედდა - პროფესიონალი არა მარტო თავის საქმეში, არამედ დიპლომიან უროლოგზე არანაკლები ცოდნით, პრაქტიკით, გამოცდილებით, შესაშური ვაჟკაცობით, აუწონავი და გაუზომავი ნებისყოფით, უძლიერესი სულით... თამარის მზრუნველი და მოამაგე, რწმენის მიმცემი, იმედის ვარსკვლავი... დედა, რომლის მსგავსი ძნელად მოიძებნება ალბათ დღევანდელ დედამიწაზე...

36 წელია მეუღლესთან - გელა გოგალაძესთან ერთად ქმნიდნენ ოჯახს. მათი შრომა და გარჯა, არა მარტო უფროსი ვაჟკაცის - 33 წლის გიორგის და მისი ცოლ-შვილის სიკეთისკენაა, არამედ უპირველესად თაკოსკენ, გელასთვის კი - ერთ თირკმელზე მყოფისთვის - 14 წელია კიდევ მეტად გაათმაგდა შრომა... მათ თავიანთ წონაზე მეტი თანხა აქვთ გადახდილი ქალიშვილის სიცოცხლისათვის... და, აფერუმ მათ გმირობას, მათ ვაჟკაცობას, მათი სულის სიძლიერეს...

...2019 წელს, ქორწინებიდან 4 წელიწადში, 10 წლიანი მუშაობის შემდეგ, მამიკოს თირკმელი, ასაკობრივი დიაგნოზით, თაკოს გაეთიშა. დაიწყო „დიალეზის" უმძიმესი დღეები... დაიწყო ფიქრი, ძიება ახალ დონორზე - ვისი თირკმელი შეეთვისებოდა სიცოცხლით სავსე 27 წლის თამარ ქალს...

„ჩემი თირკმელი წავა" - გააზრებულად, თვითდაჯერებულად, მტკიცე ხმით წამიერადვე განაცხადა მიშომ - ისე რომ, არაფერი იცოდა სამედიცინო, ლაბორატორიული, სიღრმისეული კვლევებისა...

- ჩემს თავზე აღარ ვფიქრობ, მთავარია ჩემმა მიშომ იცოცხლოს, - განაცხადა თაკომ.

დედამ, მამამ და ძმამ იუარეს მიშოსთან დაკავშირებულ ორმაგ პასუხისმგებლობას ველარ გავუძლებთო...

მიშოს მამიკომ - უშანგი კეიხაშვილმა ცალკე განაცხადა, - მე მოგცემ ჩემს თირკმელსო...

მიშოს კი, დღედაღამ პირზე ეკერა - „ჩემი თირკმელი, ჩემი თირკმელი წავა"... მის დაჟინებულ კატეგორიულობას ვერავინ შეეწინააღმდეგა, დაიწყო დაუსრულებელი კვლევები საქართველოში, გერმანიაში...

ივნისში - „ლომისობას", ლომისის წმიდა გიორგის ტაძარში მოსალოცად წავიდნენ მოსიყვარულე წყვილი... ფეხშიშველმა თაკომ, წვეტიან ქვებზე ისე აიარა მძიმე ჯაჭვით, თითქოს ფიანდაზზედ მიგოგმანობდა, ჩექმებჩაცმული გარშემომყოფნი გაოცებულნი მისჩერებოდნენ, არადა მისთვის აკრძალული იყო დატვირთვაც და სიმძიმეც - გზადაგზა ეკითხებოდნენ კიდეც, „როგორ დადიხარ ფეხები არ გტკივაო?!" - უფალი არ მიგვატოვებს ორივენი კეთილები ვართო...

სამი წელი გაგრძელდა თაკოს „დიალეზზე" ყოფნა - იყო იმედიც, იყო გულგატეხილობაც, იყო ტირილიც - „მიტირეთ უნდა მოვკვდე"... თაკოს მხარდამხარ, ყველა ეტაპის განვლილი დედის დაღვრილმა ცრემლებმა, მიშოს იმედიანობამ, მიშოს რწმენამ, „ჩემი თირკმელი წავა" თავისი გაიტანა...

და დიახ - „წავიდა"...

დადგა 2022 წლის 2 ნოემბერი - მიშოს ცალი თირკმელი ამოუღეს და თაკოს გადაუნერგეს... მიშოს პირველი ჯგუფის დადებითი სისხლი თაკოს სიცოცხლისათვის სასწაულებრივი აღმოჩნდა. 800 კრეატინინი 5 წუთში ნორმაში ჩაჯდა და რიგით მეოთხე თირკმელი, როგორც ექიმები ამბობენ, - მაშინვე მუშაობას შეუდგა... ოპერაციიდან მესამე დღეს, თაკოს კლინიკის პალატაში ცეკვამ, სოციალური ქსელი მოიცვა...

და მე, ოპერაციიდან მეოთხე თვის ბოლოს, თქვენმა მონამორჩილმა, ვერ გავუძელი თაკოს და მიხეილის უსაზღვრო სიხარულით და სიყვარულით მოციმციმე უძირო თვალებს, ვერ გავუძელი მათ მონაყოლს, ვერ გავუძელი ნონას, გელას, უცნობი უშანგის წარმოსახვას, ხან ვტიროდი და ხან ვიღიმოდი, თან გულში უფლისადმი მადლობას აღვავლენდი... და მართლაც, მადლობა უფალო - ყველგან და ყოველთვის სიყვარულს ემზეგრძელოს...

თაკოს მარადიული ექიმ-ნეფროლოგი ნინო მაღლაკელიძე, ივანე ბოკერიას სახელობის „ევექსის" კლინიკის თანამშრომლები, შვეიცარიიდან სპეციალურად ჩამოსული ქირურგი ტიერ ბერნი ბედნიერნი - მიშოს თირკმელის, თაკოს სხეულში „გიჟური" მუშაობით - აღტაცებულნი, ორ მოყვარე ოჯახთან, ახლობლებთან, ნაცნობებთან და უცნობებთან ერთად სიხარულს ვერ მალავენ...

ოჯახი უზომოდ მადლიერია ბორჯომის მუნიციპალიტეტის ყოფილი, თუ დღევანდელი ხელმძღვანელობის, რომლებიც ყველა ეტაპზე, ყველგან და ყოველთვის მხარში ედგნენ გოგალაძეების ოჯახს და მათ საფიცარ თამარს...

კეთილ და ღვთისნიერ ადამიანებს კი უფალი არასოდეს მიატოვებს და სიკეთის გამცემთ ასმაგ სიკეთეს მიუზღავს...

უკიდეგანო სიყვარული - უკიდეგანო სიყვარულის წილ...

გაზაფხულის შემოსვლას გილოცავ... მარტო გარე სამყაროში კი არა, შინაგან სამყაროშიც. მუდამ გეგაზაფხულოს.. და გაზაფხულის ამ ლამაზ დღესასწაულებს, ჯანმრთელობა, ბედნიერება არ მოკლებოდეს!

**ვიოლეტა ბალახაშვილი**

# 20 წელი ბუნების დაცვის სამსახურში



**ბორჯომ-ხარაგაულის** ეროვნული პარკი ერთ-ერთი პირველი დაცული ტერიტორია გახლდათ საქართველოში თავისი აქტიურობით, ღონისძიებებით. ის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა გარემოს დაცვის საქმეში. ბორჯომში მდებარე ადმინისტრაცია თავისი უმაღლესი გამოცდილების პროფესიონალი გუნდით ყოველთვის ცდილობდა ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლების კუთხით ბევრი კარგი, დასამახსოვრებელი აქტივობა ჩაეტარებინა, აქტიურად ემუშავა ბრაკონიერობის წინააღმდეგ, ზრუნავდა და იცავდა ჩვენი ხეობის მარგალიტს - ხელშეუხებელ ბუნებას, დიდ დროს უთმობდა ნაკრძალში არსებულ წითელ ნუსხაში შეტანილი ცხოველების გაფრთხილებასა და მათ მოვლას. მენეჯმენტსაც უწონებდნენ და ბორჯომის საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც მუდამ წარმოდგენილნი იყვნენ როგორც სამაგალითოები, მისაბაძები. ალბათ, იკითხავთ, რატომ არის ყველა ზმნა წერილის შესავალში წარსულის დროში? თურმე, ადამიანური რესურსიც ნელ-ნელა შეიძლება ამოიწუროს, საქმის კეთების სურვილი ისევ შეგრჩეს, ისევ ძველებურად გულანთებული, ერთგული იყო საყვარელი საქმის და ბუნების დაცვის სწორი ხედვისადმი, მაგრამ უკვე აღარავის აინტერესებდეს შენი დამოკიდებულება, პასუხისმგებლობა... პრიორიტეტები იცვლებოდეს შენგან დამოუკიდებლად... არადა, ძალიან დიდი დანაკარგია უმაღლესი დონის თანამშრომლები ოდესღაც აღზევებული ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკიდან. ბოლო დროს სამსახურს ტოვებს არაერთი გამორჩეული სპეციალისტი. მიდიან და სხვაგან საქმდებიან ახალგაზრდები, ყველასათვის სანატრელი და საჭირო კადრები: შოთა გოლუბიანი, ნინო ავეტისიანი... კიდევ სხვაც. მართალია, ახალი გამოწვევა, ახალი საქმე, ყოველთვის საჭიროა, რადგან ერთ დღეს შეიძლება ძველი დასრულდეს, მაგრამ საწუხარი ისაა - პარკი მხოლოდ შენობა როდია? მას ქმნიდნენ ადამიანები და როგორ იქნება ამიერიდან?.. ნუ ჩამითვლით ამ წერილს სუბიექტურ პოზიციად, უბრალოდ, მიიღეთ გულისტკივილი ერთი, რიგითი მოქალაქისა...

ბორჯომ-ხარაგაულის პარკთან, არც მეტი, არც ნაკლები, 20 წელია ბორჯომელებისთვის და არა მარტო მათთვის, ასოცირდება სახელი და გვარი: **ნათია მულაძე - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი,** რომელმაც ყველაფერი გააკეთა აღნიშნული პარკის განვითარების საქმეში. რამდენიმე დღის წინ კი მან სოციალური ქსელით გვაუწყა, რომ გადადის ახალ სამსახურში; ისევ გარემოსდაცვის, უკვე არასამთავრობო ორგანიზაცია „ნაკრესში", სადაც უხელმძღვანელებს და განახორციელებს რეგიონში სხვადასხვა პროექტებს. ქალბატონმა ნათიამ გულწრფელად გაგვიზიარა საკუთარი ემოციები და ყოფილ სამსახურეობრივ პოზიციასთან ერთგვარი დამშვიდობებაც გამოუვიდა:

**ნათია მულაძე: - რთულია გითხრათ, რას ნიშნავდა ეს სამსახური ჩემთვის, რა გამიკეთებია, რამდენი მიღწევა, წარმატება თუ გამოწვევა, სიხარული და ტკივილი გვქონია, 20 წელი, ცოტა დრო არაა, დღემდე მომყვება ყველა ემოცია, პირველი ეროვნული პარკის გადადგმული ყველა ნაბიჯი, რომელიც ძირითადად საამაყო იყო ჩემთვის. ვიმუშავე სხვადასხვა პოზიციაზე, ეს იყო თითქმის მთელი ცხოვრება, სახლიც, სამსახურიც და სამსახურზე ბევრად მეტიც, მაგრამ დადგა ალბათ ეს დროც და ვტოვებ ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკს. დღეს მინდა მხოლოდ მადლიერება გამოვხატო ძალიან ბევრი ადამიანის მიმართ, რომლებთანაც ამ წლებმა დამაკავშირა, ვშიშობ გამომრჩება ვინმე, ამიტომ არ ჩამოვთვლი, ყველა იმ ადამიანს, რომლებმაც მასწავლეს ბევრი რამ, უდიდესი წვლილი შეიტანეს ჩემს განვითარებაში, ვისთან ერთადაც ვაკეთებდი საყვარელ საქმეს და ვემსახურებოდი ეროვნული პარკის არსებობის მთავარ იდეას.**

**მინდა მადლიერება გამოვხატო იმ ადამიანების მიმართ ვისაც ეს იდეა და ზოგადად გარემოს დაცვა სწორად ესმოდა. შევიძინე ბევრი მეგობარი, გავიცანი ძალიან კარგი ადამიანები. რა თქმა უნდა, შეიძლება სამსახურები შეიძლება დამთავრდეს, მაგრამ მეგობრობა და ურთიერთობები რჩება. აქვე გეტყვით, რომ საქმიანობას კვლავ ვაგრძელებ გარემოს დაცვის და კონსერვაციის მიმართულებით, სხვაგვარად ალბათ წარმოუდგენელიც იყო. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკს და დაცული ტერიტორიების მთელ სისტემას წარმატებებს და საუკეთესო შედეგებს ვუსურვებ.**

მოამზადა **მონიკა ქანტურია**

# თავაზიანი და გულიანი კაცი



**როსტომ ყველიაშვილი** ძირძველი ბორჯომელია, 13 მარტს 70 წელს გადაცილდა, დაბადების დღე ჰქონდა, მაგრამ ისეთი ენერგიულია, ახალგაზრდას აჯობებს გონიერებით და სიტყვა-პასუხით.

პირადად მე ბოდიში მინდა მოვუხადო, ჩემს უმცროს მეგობარს, მისი შრომის, ერთგულების, კაი კაცობის შესახებ დღემდე რომ ვერაფერი უთხარი „ბორჯომის" მკითხველებს.

თუ არადა, როსტომი მეტად ყურადღებიანი, თავაზიანი და კულტურული პიროვნებაა.

ჩვენი როსტომი ნამდვილად იმსახურებს ყურადღებას, სითბოს, სადაც არ იმუშავა კომკავშირის თუ პარტიის რაიკომებში, პოლიციაში თუ პროფკავშირებში ყველგან დატოვა თავისი კაცური კვალი. დავალებების უბადლო შემსრულებელი საყოველთაო პატივისცემით სარგებლობდა შრომით კოლექტივებში. ახლაც ქუჩაში მიმავალს არ გამოეპარება ნაცნობ-მეგობრები, ყველას თავაზიანად და გულიანად მოიკითხავს.

ბევრი რამ აქვს მოსაგონარი, მისი დახმარებით ბევრ ბორჯომელს მოუგვარებია პირადი საკითხები, გზა გაუკვლევია ახალგაზრდებისათვის.

ასაკში შესულმა, ისტორიულ პარკში, გიდად დაიწყო მუშაობა, რუსულენოვან ტურისტ დამსვენებლებს გასაგებად უხსნის ჩვენი რაიონის, კურორტ-ქალაქის და ჩვენი სამშობლოს მდიდარ ისტორიას. მისი საუბრით კმაყოფილი სტუმრები მადლიერები არიან, ტელეფონის ნომერს იწერენ, განმეორებით ჩამოსვლისას, რომ ისევ დაუკავშირდნენ.

გვიან, საღამოს დაღლილი ბრუნდება სახლში, სადაც მოსიყვარულე მეუღლე და შვილები ხვდებიან და გულს უხალისებენ, შემდეგ ცოტას დაისვენებს და კვლავ ისტორიულ ფაქტებს აზუსტებს, იღრმავებს ცოდნას, რომ უფრო მეტი დადებითი ფაქტების შეახებ ესაუბროს ტურისტებს.

განათლებულ და უაღრესად კულტურულ როსტომს ცხოვრების დიდი გამოცდილება აქვს, მისი გამოყენება ჯერ კიდევ შეიძლება უფრო მნიშვნელოვან სამუშაოზეც.

რას ვიზამთ, ვეტერანებო, ცხოვრების გაუმჯობესების პირობები რომ იტყვიან, კუს ნაბიჯით მიტორტმანობს წინ, ჩვენთვის არავის სცალია.

ეს ისე, ჩემი გულისნადებიც მივაყოლე მეგობრის შესახებ მოსაფერებელ წერილს, რომელსაც მინდა ვუსურვო ჯანმრთელობა და ბედნიერება ოჯახთან და სამეგობროსთან ერთად.

**თემურ ხუხუნაიშვილი,**
**საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.**

## ვულოცავთ!



**ალგი ლომიძეს,** 18 მარტს, 75 წელი უსრულდება, იშვიათია ადამიანი ისეთი ერთგულებით ემსახუროს სამსახურს, როგორც ბატონი ალგია. მან თითქმის 50 წელი ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, თანამდებობებზე გაატარა, რამდენიმე წელი ამ დაწესებულების ხელმძღვანელიც იყო.

მიუხედავად მრავალი სირთულეებისა, იგი ყოველთვის იყო ზემოხსენებული დაწესებულების საყრდენი. ქალებით გარემოცულ ალგის, როგორც მამაკაცს, ხშირად უწევდა სამეცნიერო საქმიანობასთან ერთად ისეთი დავალებების შესრულება, რასაც ქალბატონები ვერაფრით ვერ გააკეთებდნენ.

სწორედ ამიტომაცაა, რომ შრომით კოლექტივში ყველა პატივისცემით ექცევა, ახალგაზრდები მისგან ბევრს სწავლობენ.

ალგი ლომიძე საუკეთესო მეგობარია, იგი ჭირშიც და ლხინშიც ყველას გვერდითაა. ახლაც სისტემატიურად იკვლევს მეტად საინტერესო ისტორიულ ფაქტებ და ზნეობრივ, დიდაქტიკურ წერილებს აქვეყნებს გაზეთ „ბორჯომში“.

დაფასებულ და ერთგულ მეგობარს გვინდა ვუსურვოთ ჯანმრთელობა ერთგულ მეუღლესთან, ქალბატონ ლალისთან ერთად ტკბილად გაეტარებინოს სიცოცხლის წლები და კვლავაც ყოფილიყვნენ ქვეყნის, სამეგობროს და სამეზობლოს სამსახურში.

პატივისცემით: **თემურ ხუხუნაიშვილი, ვალერიან ლომიძე, უშანგი ჯანგირაშვილი, ნუგზარ ქარელი, მიხეილ ზედელაშვილი.**

### წიგნის თარო

## „ვაჟა-ფშაველას მხატვრულ სამყაროში“

**გაზეთ** „ბორჯომის“ რედაქტორის მოადგილეს, საქართველოს დამსახურებულ ჟურნალისტს, პოეტს, ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემიის ლაურეატს, ბატონ **უშანგი ჯანგირაშვილს** და მის ძმას **იოსებს** ბედმა გაუღიამა. დიდი ხნის მანძილზე ერთობლივად დაწერილმა შესანიშნავმა ნაშრომმა, სათაურით „ვაჟა-ფშაველას მხატვრულ სამყაროში“ მზის სინათლე იხილა. წიგნის სპონსორობა ითავა საქართველოს მეათე მოწვევის პარლამენტის წევრმა, ბორჯომის, ახალციხის, ადიგენისა და ასპინძის მაჟორიტარმა დეპუტატმა, მეტად გულისხმიერმა და ლიტერატურის უსაზღვროდ მოყვარულმა პიროვნებამ ბატონმა **ანტონ ობოლაშვილმა.**



ნაშრომი ეძღვნება ვაჟა-ფშაველას უკვდავ შემოქმედებას. **წიგნში შესული წერილებისათვის საქართველოს მწერალთა შემოქმედებითმა კავშირმა უშანგი ჯანგირაშვილს 2020 წელს ვაჟა-ფშაველას სახელობის ლიტერატურული პრემია მიანიჭა.**

წიგნი განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის, ასევე სტუდენტებისა და საშუალო სკოლის ფილოლოგი პედაგოგებისათვის.

წიგნში ცალკე წერილები აქვს მიძღვნილი „ჯოყოლას მხატვრულ სახეს“, ჯოყოლას ხასიათის კომპოზიციურ განვითარებას. „ვაჟა-ფშაველას“ პასუხი აკაკი წერეთელს“, დიალოგი ზოგადი ბუნებისათვის ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში“ და სხვა.

წიგნი მეტად საინტერესოდ იკითხება. ამ წიგნის გამოცემით კიდევ უფრო გამდიდრდა ვაჟა-ფშაველას შემოქმედება.

**ვალერიან ლომიძე.**

## მინდა ვასახელო ბორჯომი!



**გოგონები** რომ აქტიურად არიან ჩართულნი სპორტში და ჯანსაღი ცხოვრების წესს მისდევენ, ეს მხოლოდ მისასალმებელია. არც ბორჯომია გამონაკლისი და მიუხედავად ამისა, რომ ე.წ სპორტის სტერეოტიპი დარღვეულია, გოგონებიც მაღალ შედეგებს აღწევენ. **ელენე მელიქიძე** ჯერ მხოლოდ მერვე კლასშია, მაგრამ აქვს თავისი მიზნები, იცის წარმატებამდე მისასვლელი გზები. ელენე მელიქიძე ბორჯომის №3 საჯარო სკოლის მოსწავლეა და დიდწილად სპორტის პედაგოგმა განაპირობა მისი მძლეოსნობით, კონკრეტულად კი - სირბილის სახეობით მისი დაინტერესება. მართლაც, გაამართლა პედაგოგის, **ვალერი ჟადანის** პროგნოზმა: თვითგანვითარების გზა დაანახა მოსწავლეს და მისცა საშუალება გამოევლინა საუკეთესო მონაცემები, მიუხედავად ამ ასაკობრივ კატეგორიაში მხოლოდ ელენეა, როგორც მდედრობითი სქესის წარმომადგენელი. ელენე თვითონ გვიყვება სპორტთან დაკავშირებული გზის შესახებ: „პირველად ახალციხეში გავედი შეჯიბრზე ახალციხის ღია ჩემპიონატზე და მესამე ადგილი დავიკავე ჩემი ასაკის გოგოებში. გარდა ამისა, მიასპარეზია თბილისშიც, ხოლო ბათუმში, ამ ბოლოს კარლო გიორგაძის სახელობის ტურნირში პირველი ადგილი დავიკავე. ჩემი უახლოესი მიზანია, გავიმარჯო საქართველოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე და განვვითარდე. მომავალში ვაპირებ შეჯიბრებებზე ასპარეზობას ჩემს ასაკში, ან თუნდაც დიდებში, ეს მეტ წინსვლას მომცემს, ახლის სწავლის სურვილს აღმიძრავს, ემოციებთან გამკლავებას მასწავლის. ვაპირებ ბორჯომი ვასახელო! ამ ეტაპზე ოჯახიდან იდეალური ხელშეწყობა მაქვს და ყველაფრით მეხმარებიან, მყიდულობენ სპორტულ სამოსს, საჭირო ნივთებს. გარემო, სადაც ვვარჯიშობ, მე მომწონს. დროის განაწილებაც კარგად გამომდის სწავლასა და საყვარელ საქმეს შორის. მართალია, ჯერ რაიმე პროფესიაზე არ ვფიქრობ, მაგრამ დიდ დროს ვუთმობ სკოლაში სწავლას, ათოსანი ვარ. ულრმესი მადლობა მინდა საჯაროდ ვუთხრა ჩემ მწრთვნელს - **ვალერი ჟადანს** სპორტით ჩემი დაინტერესებისთვის“.

**მონიკა ქანთურია**

**სურათზე:** მარჯვნიდან მარცხნივ მეორე **ელენე მელიქიძე.**

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59

რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.

გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.

მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „საარში“. თბილისი, თევდორე მღვდლის №57.

borjomi@inbox.ru

რედაქტორი: ვალერიან ლომიძე

## დიდი ტურნირის გამოძახილი

**დამთავრდა ჩვენი სპორტული დაბისათვის შინაარსითა და მასშტაბურობით შესაფერისი ღონისძიება. სათხილამურო ექსპერტებმა მისი მიმდინარეობა და სპორტული არეალების სამზადისი ერთხმად დადებითად შეაფასეს. ყველა ის ადამიანი, რომელიც ამ ბოლო წლებში ჩართული იყო ჩემპიონატის ინფრასტრუქტურის სამზადისში - ორგანიზატორები, სპონსორები, ქომაგები - ყველა ბედნიერია: ფრისტაილის, სნოუბორდისა და ფრისკის მსოფლიო ჩემპიონატს ღირსეულად გავართვით თავი.**

გარდა იმისა, რომ ბაკურიანს ორი კვირის განმავლობაში ორმოცამდე ქვეყნის წარმომადგენელი სტუმრობდა, რაც ტურისტული განვითარებისათვის უმნიშვნელოვანეს ფაქტად შეფასდა და დოვნებ, ასე საზოგადოებრივი ტრანსპორტით აქტიურად გადაადგილება და ავტომანქანების პატარ-პატარა შეზღუდვები აქტიურად დაინერგება, რომ ბოლო მოეღოს მათგან გამოწვეულ ხმაურს, გამონაბოლქვს და საცობებს.

ახლა მანქანებისაგან განთავისუფლებულ საპარკინგე ადგილებს აღარ იკითხავთ? ხალხი, ადამიანები გამოჩნდნენ, ლაღად გადაადგილდებოდნენ, ერთმანეთს მუჯლუგუნებს აღარ თავაზობდნენ, რადგან ტროტუარებზე ყველასათვის იყო ადგილი და ყველა კუთხე-კუნჭულში გაჩერებული მანქანების გვერდის ავლა აღარ იყო საჭირო. თურმე რამდენ ადგილს ვუთმობთ მანქანებს ჩვენ თვითონ, ადამიანები!

რაც შეეხება საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობას, საერთო ჯამში ის შესანიშნავად მოძრაობდა. ყველა მას იდეალურად მოერგო ადგილო-




ქვეყნის პოპულარიზაციას უწყობს ხელს, წმინდა სპორტული თვალსაზრისით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იყო, რადგან ბაკურიანის საშეჯიბრო ტრასებზე მონაწილე სპორტსმენთაგან უმრავლესობა ოლიმპიური ჩემპიონები იყვნენ, რომელთა დიდმა ნაწილმაც თავიანთ ტიტულებს საქართველოდან მორიგი მედლები მიამატეს.

ჩემპიონატის სპორტული მხარე შეუდარებელი იყო. ფრისტაილისა და სნოუბორდის სანახაობრივი დისციპლინები, გამარჯვებისა და დამარცხების ემოციები - ის, რის გამოც გვიყვარს სპორტი. ვინც ამ ჩემპიონატს „ცოცხლად“ ადევნებდა თვალს და შეჯიბრებს ესწრებოდა, ალბათ კიდევ დიდხანს ემახსოვრება.

თავისთავად ცხადია, ჩემპიონატმა დაბაშიც შესაბამისი ცვლილებები მოიტანა. საზეიმო განწყობისათვის სეზონის ბოლომდე დარჩა არაჩვეულებრივად ლამაზი საახალწლო განათებები, მოეწყო ჩემპიონატის სოფელი, შეიზღუდა ავტომანქანების გადაადგილება, დასუფთავების სამსახურმა გააასმაგა შრომა და ა.შ.

არ შემიძლია პირველ რიგში არ აღვნიშნო სატრანსპორტო შეზღუდვების შესახებ. პირადად მადლობას ვუხდი ყველა იმ ადამიანს, ვინც ეს რეგულაცია დააწესა. შეგახსენებთ, რომ სატრანსპორტო რეგულაციები ეხებოდა ორ კონკრეტულ მონაკვეთს საშეჯიბრო ტრასებთან და ცენტრალურ ქუჩაზე პარკირების აკრძალვას. ზემოაღნიშნულ მონაკვეთზე მოძრაობდა საზოგადოებრივი ტრანსპორტი. შემიძლია თამამად ვთქვა და ხელიც მოვაწერო ჩემს ნათქვამს - ამ რეგულაციების არშემოღების შემთხვევაში არ გადაგვარჩენდა შესანიშნავად გამართული საშეჯიბრო ტრასები, თავლაფდასხმულები და შერცხვენილები ვიქნებოდით, რადგანაც გზებზე არნახული კოლაფსი შეიქმნებოდა. ხალხი ხომ აუცილებლად კონკრეტულ წერტილამდე, სართულამდე, საწოლამდე, ორი ნაბიჯის სავალ გზამდე მანქანით უნდა მივიდეს! ასჯერ და ათასჯერ მადლობა ამ რეგულაციებისათვის, ვიმებრივიც, დამსვენებელიც და უცხოელი სტუმარიც.

მეორე სიკეთე, რაც ჩემპიონატმა შესძინა ბაკურიანს და კარგი იქნებოდა დაგვენერგა ყოველწლიურად, ესაა ჩემპიონატის სოფელი. ეს იყო ლოკაცია, სადაც ჩემპიონატის მსვლელობის დროს მუდმივად ტარდებოდა სხვადასხვა ტიპის გასართობი ღონისძიებები, იყო კვების ობიექტები, საკუთარი ნაწარმი ჰქონდათ გამოფენილი ადგილობრივ თუ სხვა რეგიონებიდან ჩამოსულ მეწარმეებს, ტარდებოდა კონცერტები. მართალია კონცერტები ხმაურიანი იყო და გვიან საღამომდე მთელ ბაკურიანში ისმოდა მუსიკის ხმა, ეს ადგილი ახალგაზრდობის შეკრების აქტიურ ადგილად დამკვიდრდა. დამსვენებლები ათასგვარი გემრიელობებით იტკბარუნებდნენ პირს. კვების ობიექტებთან განთავსებული იყო მაგიდები და სკამები, სადაც ყოველთვის ხალხმრავლობა იყო.

უცნაურად ერთი რამ მეჩვენა. მაშინ, როდესაც ლამის დეკემბრიდან სოციალურ ქსელებში აქტიურად მიმდინარეობდა მსოფლიო ჩემპიონატის რეკლამა, სათხილამურო სპორტის მესვეურები ეპატიჟებოდნენ ყველას ლამაზი სპორტული სანახაობის სანახავად და ჩვენებურების საგულშემატკივროდაც, ძალიან ბევრი ადამიანი უკვე ჩემპიონატის მსვლელობის დროს გაკვირვებული მეკითხებოდა, თუ რატომ მივდიოდი შეჯიბრზე - „იქ ხომ არ უშვებენ“ და კიდევ, ბევრმა გადაადგილების რეგულაციები უკუღმა გაიგო და იფიქრეს, ბაკურიანში საერთოდ არავის შეუშვებენ ორი კვირის განმავლობაში. არადა, როგორ გასაგებად და წვრილად იყო ახსნილი. სპორტს გულშემატკივარი უხდება, კოვიდრეგულაციები აღარ მოქმედებს და არავინ არავის უშლიდა ამოსულიყო ბაკურიანში და დამტკბარიყო ლამაზი სანახაობით. ვისაც უნდოდა, მან ნახა.

მოკლედ, კარგი იყო და კიდევ მრავალ მსოფლიო ჩემპიონატს დავეწროთ!

**რუსუდან სხირტლაძე**

### ვუძღვნი მეგობარს და მრავალმხრივ შემოქმედს ომაზ ჩხეიძის ხსოვნას

## უკვდავება

უკვე წარსულში გადაბარგდი
ძვირფასო, ტანჯვით,
მიჭირს წარსულში ვისაუბრო, მოგიხსენიო,
ახლა იტყვიან „გენიალურს“ შენს
წიგნზე განსჯით,
თუმცა ვერასდროს, - მისი ვალი მოვიხსენიო...
იყავ მსაჯული ქართულ სიტყვის, ნიჭიერების,
უკვე მომაკლდა შენი ქება და შეფასება...
„ქალის მონოლოგს“ წარვუმძღვარე
შენი სიტყვები, -
ფოლიანტებად აკინძული აკალმასება.
მახსოვს მითხარი: - „ორი წიგნი
დამჭირდა მეთქვა
ჩემი სათქმელი, „გახლეჩილი რწმენის“ სათავე...
შენ კი ერთ ლექსში მოახერხე
ტკივილით გეთქვა
და გამომტაცე ოსტატურად ქალმა სადავე!“
შენ „ქალი გალა“ მიწოდე და ამით
ბევრი სთქვი,
შეფასებაც ხომ უმაღლესი დავიმსახურე?!..
მე ჩემი ქვეყნის სადიდებლად ბევრი
ლექსი ვთქვი,
მე მის ტაძარში ვიშვი, ვწირე და ვიმსახურე.
როცა მიდიან შემოქმედნი, მეტია განცდა,
რადგან თან მიაქვთ დიდი სული,
სიტყვა და საქმე,
შენ ის ერთი ხარ, ვისი
მშვილდიც მიზანს არ ასცდა,
ვინაც მესხეთის ღრმა ჭრილობებს
სახელებს არქმევს.
ახლა გიხსენებ როგორც მწერალს და
როგორც მხატვარს,
როგორც ჭადრაკის დიდოსტატს და
ბავშვების მოძღვარს,
და შენს „ბორჯომულ იუმორსაც“
სარკაზმი ახლავს...
შენი სიბრძნე კი რახანია
თაობებს მოძღვრავს!..
იძინე ძმაო, სიყვარული მიგყვება საგზლად...
ხატავდი, ქმნიდი, არ ყოფილხარ
უბირი, ფლიდი,
შენი წიგნები ბევრს მოუვა ჭკუაში აზრად...
შენს სიდიადეს ყველა ხვდება, -
საგანძურს ქმნიდი.
ვიცი, წარსული დარქმევია ახლა
შენს ყოფას,
რადგან წარსულში გადაბარგდი,
როგორც წესია,
რამდენ ტკივილებს გაუძელი,
გიჭირდა ყოფნა...
თუმც უკვდავება შემოქმედთა განაწესია!

**მარიზა ჯიქია**